

რედაქცია: სოლოლოკაზე, სერ-გიევის ქუჩაზე, ივ. ამირალოვის სახლში № 8.

კანტორა რედაქციისა: სერ-გიევის ქუჩაზე, ივ. ამირალოვის სახლებში, № 8.

ხელის-მომწერა მიიღება კანტორაში. ბარეზე მცხოვრებთათვის: ВЪ Типографіи. Въ редакцію газ. „Дროба“.

გაზეთის ფასი: თითო წლი-სა—8 მან., 6 ხვეარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან.

ხელეწილი დღე ორშაბათს გარდა

დროება

ცალკე ნომერი ღირს შაშრატი

განცხადება: მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს ქრესტიანულ და სხვა ენებში. ფასი განცხადებულსა და სხვაში. გვით ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ცი-ცეროთი—5 კაპ., პატარათი—4 კაპ.

რედაქციის უფლება აქვს გა-ასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამგზავნილი სტატიები. დაუბეჭდე-ლი სტატიები ავტორს არ დაუბრუნ-დება.

პირველი ენკენისთვიდან ამ მდგომარეა წლის დასრულებამდე

„დროება“

ღირს საამ განათად

პირველი ღვინობისთვიდან წლის დასრულებამდე—ორ განათად.

ხელის-მომწერა შეიძლება თფი-ლისში: რედაქციაში, სერგიევის ქუჩაზე, ივ. ამირალოვის სახლებში, № 8.

ქალაქს გარეშე პირთა ამ აღ-რესით უნდა დაიბარონ გაზეთი: ВЪ Типографіи. Въ редакцію газетъ „Дროба“.

საქართველო

დღისი

* * ამ თვის 16-ს ქალაქის რჩევამ მიიღო და დაამტკიცა შემდეგი წესდება იმაზედ—თუ როგორ უნდა მოხდეს ხმო-ვანების (გლასნების) კენჭის-ყრა:

1). მართის კვირის წინათ კენჭის-ყრამ-დინ ყველა ადგილობრივს გაზეთებში იქნება გამოცხადებული და აგრეთვე ცალკე განცხადებები, რუსულს, ქართულს და სომხურს ენაზედ, იქნება კედლებზე მიკრული, რომლითაც კენჭის-მჭობთ (ამომრჩეველებს) ეცნობებათ—თუ სად და რა დროს იქნება კენჭის-ყრა დანიშ-ნული.

2). გამოცხადებებიან თუ არა ამომრ-ჩეველები კრებაზე, იმათ ჩასწერენ სიაში და მიცემენ ზალაში შესასვლელ ბილეთ-სა და აგრეთვე ქალაქს-თავის კანდი-დატების ჩასაწერად.

3). ზალაში შესვლასათანავე შეკენჭემ თავის კანდიდატების სია უნდა წარუდ-გინოს კრების თავმჯდომარეს, რომე-ლიც ყუთში ჩაჰყრის ყველა ბილეთებს. ნა-ხვეარი საათის შემდეგ დაიწყება ამ ბილე-თების გარჩევა და კანდიდატების საზოგა-დო სიის შედგენა.

4). მინც ამომრჩეველთ სიაში არ არის მოხსენებული, იმათ არა აქვთ კენ-ჭის-ყრის უფლება (ხმოვანად არ გამოირ-ჩევიან).

5). ბარდა ამომრჩეველებისა და მეგა-ზეთეებისა კრების ზალაში შესვლის უფ-ლება არავის არა აქვს. მაყურებლების შეშვება შეიძლება, თუ ზალაში დაეტე-ვიან.

6). კენჭებს (ხმის-და-გვარად) დაური-გებენ კრების თავ-მჯდომარე და კრები-საგან ამომრჩეული პირები.

7). მინც აღრე მოვა, იმას აღრე გამოი-ხმობენ კენჭის ჩასაგდებად. მინც ხმოვა-ნობაზე კენჭს იყრის, იმას უფლება არა აქვს, რომ თავის ყუთში ჩააგდოს კენჭი.

8). კენჭის-ყრის გათავების შემდეგ, დაიწყებენ ხმების თვლას. ამის შემდეგ კენჭის ჩაგდება აღარ შეიძლება, და

9). როცა ყველა კანდიდატების კენ-ჭებს დაითვლიან, ცალკე ფურცელზე დანიშნავენ—თუ რომელ კანდიდატს რამდენი ხმა მიუღია; ამ ფურცელს კრე-ბას წაუკითხვენ და შემდეგ კრების თავს-მჯდომარე და დამსწრე ამომრჩეველები ხელს მოაწერენ.

* * ზაზეთი „ძაქაზი“ გვაცნობებს, რომ მთილისის საქალაქო რჩევის ხმო-ვანთა (გლასნების) ამომრჩევა მომავალ ქრისტეშობისთვის იქნება. პირველი განყოფილების (რაზრიადის) ამომრჩევა დანიშნულია 12 ქრისტეშობისთვის, მეორესი—15-ს და მსამეი—18-ს.

* * შემოხსენებულისავე გაზეთის სიტ-ყვით, იმ ფულებს გარდა, რომელიც საკუთრივ ქალაქის ბათუმის ასენიზაციის-სათვის (გასასუფთავებელად) არის დანი-შნული ხაზინიდან, კიდევ დაუნიშნავეთ 120,000 (ას-ოცი ათასი) მანეთი ბათუმ-ში წყლის გასაყვანად და აგრეთვე ბა-თუმის გარშემო ტბების დასაშრობად.

* * მამავალ კვირას, 29 ღვინობის-თვის, აღექვანდროვის ბაღში იქნება გამართული ლატარეია—აღვერი მთი-ლისისა და თელავის წმ. ნინოს საქალე-ბო ზავედენიების სასარგებლოდ. ბილე-თი ამაზეთ ეღირება. ლატარეია შუა-დღეზე დაიწყება. ბაღში იქნება მუზიკა და სიმღერა.

„დროების“ კორექსონდენცია

ბათუმი, 20 ოქტომბერს. მიდრე ბა-თუმის გარემოებაზე დაგვიწყებდეთ მუ-საიფს, მანამ ათჯერ და ათასჯერ ბო-დიშს მოვიხდი თქვენთან და პატივცემ-ული „დროების“ მკითხველებთან, რომ ახლათ-შემოერთებულ საქართველოზე, რომელმაც დაიმსახურა ჩვენი ყურად-ღება და რომელიც დარსია გაცნობისა, ხშირათ ვერა გწერთ ცნობებს. ეს ჩემ-გან დამოუკიდებელს გარემოებაებს შე-ეხება, რომლებიც, ჩემდა საუბედუროთ იძულებულს მხდინან, რომ ამნაირის ღირს-პატივსაცემი მოვალეობისაგან მო-ნაწილეობის ჯილდოს უღირსი გავხდეთ, მიზეზების გამო სხვისა და სხვისა..

ნათქვამია: „ზოგჯერ თქმა სჯობს უთქმელობას, ზოგჯერ თქმითაც დაშე-დებისა“. შესანიშნავია, რომ ამ კეთილ-შობილური მიზნის წინააღმდეგნი არიან იმისთანა პირნი, რომელნიც, ყოველ-თვის თუ არა, ერთჯერ თითონ ყოფი-ლან სიმართლისათვის მქადაგებლები და ბოროტების მოსასპობლათ ბოროტების გამოაშკარება პირველ საშუალებით უცე-ნიათ..

რა თავი შეგაწყინო, ჩემო მკითხვე-ლო, ამ ღრმა აღფერობით ორივე გა-ტაცებული დაერჩებით და ჩემი ლაპარა-კი ჭურში ჩაძახებულს დაემგზავნება... ძაშ დაუბრუნდები ბათუმზე მუსაიფს.

ბათუმი თავისი ცხოვრებით, რაც დრო მიდის, თან-და-თან უფრო ცხო-ველდება. ქოველ დღე ხალხი მოდის ყოველა ადგილებიდან, ყველა გაკეთებას მოელოს აქ, ყველას რალაც ფაცა-ფუცი გააქვს; ყველას სახეზე რალაც ერთ და იმავე დროს სიამოვნებასაც და ღრმათ ჩაფიქრებელ უსიამოვნებას ამოიკითხავთ, ყველა ფიქრობს, თავისი წარსული და-კარგული გათქერილი ცხოვრება ამ ახალ ქვეყანაში გააახლოს; ძრიელ ბე-რიც სჩივის, რომ რალაც მოტყვილე-ბულა გადმოცემული ანებებით.

მართი სიტყვით, სდულს და გადმოღის ცხოვრების არხები.

ქალაქიც მიღებული ბრძანებით სუფა-თავდება, ბევრი განსხვავება ახლა. ეს ახლა ღიდი მთავარის ნობრძანებას რომ მოელოინ, იმას უფრო უნდა მიეწერე-ბოდეს, რადგანაც, როგორც ამბობენ, ასი-ათასი მანეთი უწყალობებია ქალა-ქის გასუფთავებისათვის.

ჩვენი მოძმე აქარლები თუ ქობულეთლები ერთ რაღაცას მოელოან, რაღაცას უცდიან. უცდიან, მაგრამ არც თითონ იციან—რას უცდიან; იმას კი ფიქრობენ, რომ არ იციან—რა ბედი თუ უბედურება მოელოსთ.

ჭორათ გავიგონე, რომ ვითომც კამისიები შეედგინოსთ და ხელს აწერინებდნენ, ვისაც სურს გადასახლება, რომ მერე იმ სიით გაგზავნონ დეპუტაცია და მსმალეთისაგან მოწყობება და დასასახლებელი ადგილი ითხოვონ..

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ჩვენი მთავრობა ამ ნაირ კომისიებს კვლავში ჩაუდგება, იმათ ნამდვილ მიზანს შეიტყობს და თუ მართლად ნამდვილია იმათი ამ ნაირი აზრი, მაშინ ეცდება მოუსპოს იმნაირ წვრილ-შვილის და ხალხის გამაუბედურებელ მიზნები და აუხსნას იმათ რაც უბედურება მოჰყვება და რაც მოელოს თავიანთ სამშობლოში დარჩენით.

შემო-აქარაში არის ერთი სოფელი—სალორეთი, რომელიც მამაცობითაც და ყოველის ფრით ნაქები არის და შესანიშნავი მთელს როგორც აქარაში ისე შობულეთში და მსმალოს მთავრობასთანაც. ეს სოფელი შესდგება 120—130 კომლიდგან.

ამათ ჰყავს ერთი შესანიშნავი პირი, რომელსაც მსმალოს მთავრობასთან დიდი გავლენა ჰქონდა და ბათუმში იყო დიდხნის აქეთია დანიშნული მუფთათ (სასულიერო მსაჯული) უ. ჰასან-სურმანიძე. ამას მოსვლია წინადადება და თხოვნა ბაღდადიდან, რომ ამან იკისროს და მთელი აქარა გადაიყვანოს ბაღდადში, რომლისათვისაც თურმე ჰპირდებოდნენ დიდ ჯილდოს და ყოველ ნაირ საშუალების მიცემას ხალხის ცხოვრებისათვის. როგორც შევიტყე, ხალხისათვის სრულებით არ გამოუცხადებია ეს აზრი და დაჩუმებული არისო. უნდა მოგახსენოთ, რომ ძრიელ ძნელი ასახსნელია—ეს სიჩუმე რას მიეწერება. ღმერთმა ნუ ჰქმნას და ამ კაცმა თუ უქადაგა ხალხს წასვლა, მე ნამდვილათ დაჯერებული ვარ, რომ, ზედა-აქარას თუ არა, თავისი სოფლით და რამოდენიმე თავისი ნაცნობებით ერთიან გადავლენ აქედამ. ამისათვის ცუდი არ იქმნება, რომ ჩვენებამ ამ პირის ღირსეულება გამოიკვლიონ და ისე ღირსეულათ იყოლიონ ყოველთვის სახეში. თითონ პატარა ტანით, თეთრი წვერით და მაღალი შუბლით იმნაირ არსებას შეადგენს, რომ გეგონებათ ამას წყილის გაღვიძება არ შეუძლიანო. მხოლოდ, მე როგორც ვიცი, ამას იმდენი გავლენა აქვს, რომ ხუთ დიდ მუცლიანებზე და მოსულ ტანიანებზე და განათლებულებზე მეტს იმოქმედებს.

ზემო-აქარლები ყველა ემადრიელებიან თავიანთ უმფროსს უფ. ნიკოლოზ მეფისაშვილს. ამბობენ, ღმერთმა ნუ ჰქმნას, ეს აქედამ გადაიყვანონო, რადგანაც ამან ჩვენი რჯულიც, წესიც და ენაც ყველა კარგათ იცისო. მართლა, შესანიშნავია, რომ ამ ახალ შემოერ-

თებულ საქართველოს ხალხზე დიდი გავლენა იქონიეს მეფისაშვილებმა: საცა წაიღენენ, ყველას მაღლობა დაიშახურეს. უფ. მ. მეფისაშვილი იყო, რომელზედაც უკვე მოხსენებული გაქვთ; უფ. სტ. მეფისაშვილი იყო პირველ სანდო პირათ ნაცნობი ომიანობის დროს მთელ მცხოვრებლებთან და ღერვიშვაშასთან მოსალაპარაკებლათ; ამათი ძმა უფ. დიმიტრი მეფისაშვილი იყო და აქარაში იმ დღის დროს რამოდენიმეჯერ გადმოვიდა და ბოლოს ის ჩამოუძღვა აქარის ატრიადს ბათუმში; ახლა არის და ზემო-აქარლებისაგან ერთხმით მაღლობა ისმის უფ. ნ. მეფისაშვილზე.

მინც ამათი გარიგებული საქმეები იციან წარსულ ომიანობის დროს, ისინი ერთხმით დაგვეთანხმებიან, რომ ესენი საქვეყნოთ მაღლობისა და ჯილდოს ღირსნი არიან. მხოლოდ ამასთან ესეც უნდა დავეიმტვიცონ უფ. მეფისაშვილებმა, რომ ამდენი იმათი შრომა მარტო ჩინების გასაკვრელათ არ იყო და შემდეგისათვისაც იქონიებენ იმაზე უფროსსა, რომ თავიანთ შეჩერებულ ხალხსა რაც დაჰპირდნენ მთავრობასთან საშუალებას, ის უშუალოდ მოლონ და იმათი მდგომარეობა გააუმჯობესონ. ეს საკმარისი არ არის, რომ მარტო ჩვენგან ისმოდეს იმათ კეთილშობილობაზე და შრომაზე მაღლობა; საქმე ის არის საისტორიოთ დასტოვონ სახელი, რომელიც როგორც ჩვენი შთამომავლებისაგან, ისე ახალი ქართველების შთამომავლებისაგანაც, მაღლობით და ქებით იხსენებოდეს.

ძრიელ სამწუხაროთ გვესმის, რომ შემო-აქარაში კაცის კვლა კიდევ ყოფილა. მართალია, ასე აჩქარებით არ შეიძლება იმათი მორჯულება, მაგრამ ამ ალღეებულ დროსვე უნდა დაუშვტვიტოს ჩვენმა მთავრობამ, რომ იმას შეუძლიან იმნაირი მშვიდობიანობა დაიყაროს, რომ მგელი და ცხვარი ერთათ სძოვდნენ...

სამზღვარ გარეთის პარახოდებმაც დაიწყეს სიარული. ამ დღეებში ერთი ინგლისის და ერთი ფრანცუზის პარახოდი მოვიდა, რომლებმაც მოიტანეს საქაო და სოფლათ წასაღები საქონლები.

იმაზე მეორე წიგნში მოგვლაპარაკებით—თუ რას მოელოს ბათუმის ნავსადგური თავისი პორტო-ჭრანკოთი...

ბრახანა

ჩვენი საგოგლო უკოლეზის სამღვთო კანონისა და საგოგლო ენის პროგრამაზე.

(დასასრული)

ახლა სამშობლო ენის პროგრამაზედაც ვსტკვათ რამოდენიმე სიტყვა.

15 სექტემბერს, საღამოს სხდომაზე შემდეგ სამშობლო ენის პროგრამის წაკითხვისა შეიქნა კრებაში ერთი საში-

ნელი და გაცხარებული ბაასი იმაზე, თუ რამდენი წლის სამასწავლებლო მასწავლის მოცემა შეუძლია „ღედა მნა“ და ან რა წიგნი უნდა მიესცეთ მის შემდეგ ბავშვებს ხელში საკითხავათაო, რომ სამშობლო ენის რიგვიანად შესწავლა შეიძლონო?

პირველ კითხვაზე მასწავლებლებმა ერთხმით დასძახეს: „ღედა მნა“ პირველ წელიწადშივე უნდა გავიაროთ? ხოლო გარეშე პირნი კი არწმუნებდნენ მათ, რომ „ღედა მნა“ ორ წელზე მეტს თუ არა ნაკლებ მასალას აღარ შეიცავსო და ძალიან ვეჭობთ, რომ თქვენ მისი გათავება ერთ წელიწადს მოასწროთო. მაგრამ მასწავლებლები მაინც სულ თავისას გაიძახდნენ და ამ თავიანთ რწმუნებას აფუძნებდნენ იმაზე, რომ „ბუნების ძარის“ გასაგებლათ, რომელიც უფრო რეალურ სტატიებს შეიცავსო, შემდეგ ცოტა დროება და დაგვრჩებაო. ამაზე უფ. როსტომიშვილმა ხმა ამაღლებით წარმოასტკვა: რას ჩააცივდით ამ „ბუნების ძარსა“, როდესაც ის სრულებით არ ვარგა კლასში სახმარებელ წიგნათ და სხ... უფ. მურემ მარჯანიძემ შემდეგი შეხედულობა გამოსთქვა უფ. ი. ბოგებაშვილის ორთავე წიგნებზე, „ღედა მნა“ „ბუნების ძარზე“.

წესიერ კლასში საკითხავ წიგნათ მიიჩნიათ იმისთანა ზოგნი, რომელიც შეიცავს ორ საჭირო პირობასა: პირველი, რომ მისი შინაარსი ეშვებაამებოდეს ყმაწვილის რიგზედ გონების განხილობასა და მეორე, რომ კარგი ენით იყოს დაწერილი. ამ პირობათ ძალიან კარგათ აკმაყოფილებს უფ. ი. ბოგებაშვილის პირველი პატარა წიგნი, სახელდობრ „ღედა მნა“. ეს საკითხავი წიგნი შეიცავს მოკლე და მარტივ საბავშვო სტატიებსა, რომლებიც მშვიდნიერის და ცოცხალის ენით არიან დაწერილნი. ამ პატარა წიგნის დასრულების შემდეგ მათ უნდა მიეცეთ ხელში იმისთანა წიგნი, რომელიც შეიცავდეს უფრო ვრცელ და რთულ აღწერათა და მოთხრობებსა. ამ გვარ თვისების მქონი წიგნი ჩვენ პედაგოგიურ ლიტერატურაში ამჟამათ მხოლოდ ერთათ-ერთი მოგვეძიება—ეს განლავეთ „ბუნების ძარი“, რომელსაც მართლაც რომ ძალიან კარგად შეუძლიან დროებით მეორე საკითხავი წიგნის მაგვირობის გაწვევა. ამას ისიც უნდა დავსძინო, რომ „ბუნების ძარის“ სტატიები, როგორც შინაარსით, ისე ენით, მძლავრ ღონისძიებას აძლევენ მასწავლებელს, რომ მან ზნეობითი მოქმედება იქონიოს ბავშვებზე, შეასწავლოს ნამდვილი ქართული ენა და გაამდიდროს მათი გონება სხვა და სხვა ცხოვრებაში გამოსაყენებელ რეალური ცნობებითა. ბარდა ყოველ ამისა „ბუნების ძარში“ განგებ არიან შეკრფვილნი ლოლიკური და ღრამმატიკული გარჩევისათვის თ. ი. ჰაეკვაძის თხუზულებათაგან იმისთანა პროზაიკული ნაწყვეტები, რომლებიც სამაგალითო ქართულის ენით არიან დაწერილნი.

ამის შემდეგ უფ. ივ. როსტომიშვილ-



მა ხელ-მეორეთ მართო ლაპარაკი იმა-ზედ, რომ კლასში საკითხავ წიგნს მარტო ის უნდა ჰქონდეს მიზნათა, რომ სამშობლო ენა შეასწავლოს ბავშვებსაო და არაფერ რეალურ ცნობათ იგი არ უნდა აძლევდეს პატარა მკითხველებსაო *). მაგრამ სოფლის მასწავლებელ-მა უფ. მოსე ნათამემ მჭევრ-მეტყი-ლურის და გონივრულის მოსაზრებებთ სრულიად ხმა ჩააკმენდინა მას. აი რა გვარი მოკლე სიტყვებით გამოხატება უფ. მოსე ნათამის აზრი:

„ჩემის აზრით, სახალხო შკოლის მასწავლებელს, გარდა სამშობლო ენის სწავლებისა, სხვაც მალალი მიზანი და ლტოლვილება უნდა ჰქონდეს; მან უფრო დიდი გავლენა და ზედ-მოქმედება უნდა იქონიოს ბავშვების აზროვნების განხიზხვზე, ანუ უკეთ ვსთქვათ, უნდა გაუფართოვოს მათ გარშემო მჭვრეტელობის ფარგალი სხვა და სხვა რეალური ცნობებითა, რომელთაც უხვად შეიცვავენ უფ. ი. მოგებაშვილის „ბუნების ძარი.“

*) აი რას ლაპარაკობს ამ მოსაზრების წინააღმდეგ ერთი გამოჩენილი რუსის პედაგოგთაგანი:

„აქ (სახალხო შკოლაში) საკითხავმა წიგნმა უნდა აძლიოს არა მხოლოდ ენის სავარჯიშებლათ მასალები, არამედ უნდა შეიცავდეს აგრეთვე რამდონთავე რეალურ ცნობათაცა. მითივე უნდა ვასწავლოთ ყმაწვილებსა, თუ როგორ უნდა მოიპოვონ მათ კვლავაც საჭირო ცნობები წიგნების კითხვით. აქ ვერც საგნების მასწავლებლებსა ნახავთ. ამის მხოლოდ მარტო-მარტო ერთი მასწავლებელი, რომელმაც—გარდა სამღვთო კანონისა, ყველა საგნები უნდა ასწავლოს, და რამდენათაც მჭიდროდ მოახერხებს იგი ყველა სამოსწავლებლო საგნების ერთათ შეკავშირებასა, იმდენათ უკეთესი იქნება. სამშობლო ენის სწავლების დროს მან უნდა გარდასცეს მოწაფეთა პირველ-დაწყებითი სწავლა, ბუნებითი სწავლიდგანაც, გეოგრაფიიდანაც და ისტორიიდანაც, რასაკვირველია, რამდენათაც ეს საჭიროა ყმაწვილების თვით-სწავლებასადმი მოსამზადებლათ და რამდენათაც ნებას მოგვცემს მოკლე კურსის დრო ანუ ვადა. ბუნებით სწავლასთანა, გეოგრაფიისა და ისტორიისთანა მან უნდა სამშობლო ენაც ასწავლოს;—მოკლეთ ვსთქვათ, თვითეული მისი გაკვეთილი, რომელ კაცობრიული სწავლის შთამოგებასაც უნდა ეკუთვნოდეს, უთუოთ სამშობლო ენის გაკვეთილათაც უნდა იყვეს.“

ამისთანა მტკიცე და ქვეშაირი მოსაზრებები უფ. ივ. როსტომაშვილს თავის დღეშიაც არ მოსვლია, ეგონებ, ფიქრათ, და ამიტომაც მოხდა, რომ ის ასე სრულის უსაფუძვლობით და საქმის უცოდინარობით იხსენიებდა კრებაზე „ბუნების ძარს“, რომელთანაც ის, როგორც ეტყობოდა, ნატამლათაც არ იყო გაცნობილი.

პეტროვი

ამის შემდეგ ყველა სხვა მასწავლებლებმაც ერთბაშათ მხარი დაუჭირეს უფ. მოსე ნათამესა და ერთხმათ მიიღეს „ბუნების ძარი“ ჯერ დროებით მეორე საკითხავი წიგნის მაგივრათ, და მასუკან სამუდამოთ სამშობლო ენის ქრისტობატიათაც.

ა. მ.

15 ოქტომბერს, შიფლისი

უცხო ქვეყნები

ოსმალეთი

სტამბოლელი კორრესპონდენტი გაზეთის „ღელი ნიუსისა“ იწერება, როცა ხონთქარმა შეიტყო ბობარტ-ფაშისაგან, რომ ინგლისში ეჭვი აქეთო, ვითომც სულთანს მეგობრობის კავშირი შეეკრას რუსეთთან, იმწამსვე მოიხმოვო იმან ჩვენი ელჩი ლეიარდი და გამოუცხადაო, რომ, სანამ ის ცოცხალია, მანამ ოსმალეთი არავითარი კავშირით არ შეეკრის რუსეთსაო.

— მრთს ინგლისურს გაზეთში დაბეჭდილია ტრაპიზონიდან მიღებული კორრესპონდენცია, რომლის ავტორი გვაცნობებს, რომ ამ დღეებში ინგლისის საქონლით დატვირთული ყარავანი მიდიოდა სპარსეთისაკენ და ტრაპიზონის მახლობლად გატარცვენ ავაზაკებმაო. ამის გამო დღეის შემდეგ სპარსეთში გასაგზავნი ინგლისის საქონელი შიფლისის გზაზე გაივლისო.

— მკითხველს ეხსომება, რომ გავლილ ზაფხულს ალი-სუფემა მოაგროვა რამდენიმე კაცი და შეეარდა ხონთქრის სასახლის ეზოში იმ განზრახვით, რომ ხონთქარი მოეკლა. ამ საქმის თაობაზე იმწამსვე გამოძიება იყო დანიშნული და დღეს სასამართლო აცხადებს თავის გარდაწყვეტილებას. სულ 300 კაცი ყოფილა დატუსაღებული; ამათში 250 კაცი გაუთავისუფლებიათ; დანარჩენი 40-სათვის გარდაუწყვეტიათ სამუდამო კატორგა, 2 მცირე აზიაში გაუგზავნიათ და 5 სიკვდილით დაუსჯიათ.

რუმინია

„ქელნის გაზეთში“ იწერებიან სტამბოლიდან, რომ აქაური რუმინის ელჩი ცდილობსო, რომ ოსმალეთთან მეგობრული კავშირით შეეკრასო, რომ თუ ვინიციობაა ამ ორ სახელმწიფოს ვისმესთან ბრძოლა აუტყდეს, ერთად იმოქმედონ მტრის წინააღმდეგო. ოსმალეთის მთავრობა დიდს სიამოვნებით თანხმდება ამ გვარის კავშირის შეკრებაზე, რადგან ამნაირად რუსეთსა და ბოლგარიას შუა ჩაყენებული იქნება იმის მომხრე რუმინია.

მსპანი

ტელეგრაფმა გვაცნობა ამას წინათ, რომ ვილაცა მუშამ ესროლა რევოლვერი მსპანიის კოროლს ალფონს იმ განზრახვით, რომ მოეკლა, მაგრამ დააცი-

ლა და თვითონ კი იმწამსვე დაიჭირეს. გაზეთებში უფრო დაწვრილებით არის ახლა ეს ამბავი:

13 ოქტომბერს კაროლი ალფონსი დაბრუნებულა ჩრდილოეთ მსპანიიდან თავის სატახტო ქალაქს მადრიდში. ხალხი დიდს აღტაცებით მიგებებია ახალგაზდა კაროლს, რომელიც ცხენზე იჯდა და ისე შევიდა ქალაქში. მაგრამ, როდესაც რატუშას (ქალაქის გამგეობის სახლს) მიუახლოვდა, ამ დროს ერთმა უბრალოთ ჩაცმულმა პირმა წამოიწია წინ, უეცრად ამოიღო ჯიბიდან რევოლვერი, დაუმიზნა პირ-და-პირ კაროლს და გაისროლა. პაროლმა იმ წამსვე შეაჩერა ცხენი და როცა დარწმუნდა, რომ ტყვია ასცდა, ისევ თავის გზას დაადგა თავის ამალითა. ღამნაშავესკი იქვე სტაცეს ხელი და დაიჭირეს.

შეიქნა საშინელი ხმაურობა და ხალხის ყვირილი: „ზაუმარჯოს კაროლს ალფონსი!“ „ზაუმარჯოს!“ ღამნაშავე აღმოჩნდა ბოტკის მკეთებელი მუშა, რომელმანც გამოაცხადა, რომ ინტერნაციონალურ მუშების საზოგადოებას ეკუთვნის და ამ ერთის კვირის წინათ განგებ მოვიდა მადრიდში კაროლის მოსაძლავად.

რუმინია

გაზეთს „ბოლოსში“ დაბეჭდილია ქალაქის იზმაილიდან მიღებული დეპეშა, რომელიც გვაცნობებს, რომ ახლად-შემოერთებულს ბესსარაბიაში ჩვენმა მთავრობა გამოუცხადა ხალხსაო, რომ მომავალი წლის 1 იანვრამდინ არავის სახელმწიფო ხარჯი არ გადაგზდებათო. ამას გარდა ამ ქვეყანაში შემოუღლიათ რუსის ფულები და სასამართლო წესდებულება.

— პეტერბურღის გაზეთებში იწერებიან, რომ მესამე ბანკოფილტობას ძანცვლარის გაგებულად (ქანდარმების შეჭად, უფროსად) ღენ, ღრენტელნი დაინიშნა, რომელმანც უკვე დაიწყო თავის თანამდებობის აღსრულებათ.

— „პეტერბურღის უწყებებში“ დაბეჭდილია, რომ სამხედრო სამინისტროს განკარგულებით, რუსის არმიიდან სალდათებს და არც აფიცრებს აღარ უშვებენ სახლში, აღარ ითხოვენო. ამის მიზეზა, გაზეთის სიტყვით, ის გარემოება არის, რომ ავგანისტანსა და ინგლისს შუა შეტაკებამ შესაძლებელია რუსეთიც გამოიყვანოს კიდევ ბრძოლის ველზედაო.

ტელეგრაფები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

ლონდონი, 24 ოქტომბერს. სიმლი-დამ მოვიდა შემდეგი ამბავი: ინგლისის ულტიმატუმი (უკანასკნელი დაკმაყოფილების მოთხოვნა გაგზავნეს ალიმუსედის ციხის უფროსის ხელით; ამ ულ-

ტიმატუმის პირი კურიერი: გაიგზავნა პეშავარიდამ.

ზახ. „სტანდარტი“ იწერებიან: აღმოსავლეთ რუმელიის კომისიის ამ პრაინციის ფინანსების გამგებელად დანიშნა შმიტი, რომელიც ადრე ოტომანის ბანკში მსახურობდა.

ათინა, 24 ოქტომბერს. პალატამ უარყო ახალი სამინისტროს წინადადება, რომ ორი კვირის განმავლობაში შეაჩეროს პალატამ თავის მუშაობა. ამის გამო სამინისტროს სამსახური დამთხოვნის ქალაქი მისცა კაროლს.

პატარბურღის ბირჟა, 25 ოქტომბერს (ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

ბანკის ბილეთები:	მან. კაპ.
პირველი გამოცემის —	96—37
მეორესი — — — —	95—75
მესამესი — — — —	95—37
მეოთხესი — — — —	95—37
აღმოსავლეთის — —	92—
ოქრო, 1/2 იმპერიალი —	8—40
თფილ. თავად-ანზ. ბანკის გირაოს ფურცელი — —	— —
შინაგანი 5% სესხის ბილეთები:	მან. კაპ.
პირველი სესხის — —	234—75
მეორე სესხის — — —	228—75
1 მანეთი ღირს:	
ლონდონი — — — —	23 — პენსი
ამსტერდამი — — — —	120 — „ სენტი
ბერლინი — — — —	199 — „ ჰენიგი
პარიჟი — — — —	247—50 სანტიმი
ბაქოსის კერასინი — — —	— — —

განცხადებანი

პარასკევის, 27-ს დონოზისთვის ნემეცების კლუბის ზალაში იმეზა წარმოდგენილი სენის მოწმადეანი

„უორუ დანდენი“

პომედია ვ-ს მოქმედებად მოღიერისა, გადმოთარგმნილი თ. ბ. თუმანიშვილისაგან და

„ყვავი ფარუშან-ბის ფრთებით“

ზოდვეილი 1-ს მოქმედებად, გადაკეთებული მ აბაშიძისაგან.
ანტრაქტებში იქნება სიმღერა: სხალხო სიმღერები ხორითა; და ამას გარდა იმორებს „ალულო-ბალი“.
წარმოდგენის შემდეგ ტანსიოგა იმეზა.
ბილეთების ყრფა შეიძლება უფ. ბრ. ჩარკვიანის და შრიქროვის წიგნის მალაზიებში და სულთანის თამბაქოს მალაზიაში. (2—2)

განამიერავებული სადგომი არის ირაკლის ქუჩაზე ბასტამოვის სახლებში, მეორე ეტაჟში: შვიდი სუთა ოთახი, სამზარეულო და ბიჭებისთვის ოთახები.
ღაწერილებით პირობების შეტყობა შეიძლება ამავე სახლის ქვემო ეტაჟში, სადაც უფ. კონსტანტინე პრუხინოვიც დგას. (10—10)

უ. მკეთიმე ხელაძის სტამბაში იმეზა და ამ დღეებში გამომცემი სამართლებრივი ორთქა

კალენდარი

მართველთა და სომეხთა 1879 წლისა. მართულის ქორონიონით 35 წლისათვის შედგენილი ი. ლიძის მიერ და გამოცემული მკეთიმე ხელაძისაგან

დაიგზავდა და ისყიდება ბ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში ახალი წიგნი:

„სოლომონ ისაკიძე გეგლანუაშვილი“

რომანი ლავკანტი არდაზიანისა. გამოცემული ი. მელიქოვისა და ბ. ჩარკვიანისა. ფასი 30 კაპიკი.

ისყიდება

„კრებული“

1878 წლისა
მუთისში: კ მესხის წიგნის მაღაზიაში, კლუბს ქვეშ.
თფილისში: ბ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში, მათვეთის ეკლესიის სახლში
ფასი: №№ 3, 4, 7, 8, 9-ის თითოხი ხუთ-ხუთი შაური; №№ 5 და 6 ორივესი ერთად ათი შაური; № 10—ორი შაური; №№ 1 და 2 ცალკ-ცალკე არ ისყიდება, და მთელის წლის ათი ნომერი ღირს ხუთ მანეთად.

რპ. გზა.	ღილა.	ს.ლაპ.	II კ.	III კ.	ბელგრაჟი	მანკაპ.	მაზანდა	მანკაპ.	თფილისის სამკურნალო
თფილისი..	9 21	5 18	კაპ. 8 კაპ.	8 კაპ.	ოცი სიტყვა თეილი სიღამ:		თფილისი, 25 ოქტომბ.		მრეფ ს მაედანზე, წ ნამდვარჯის სახლებში.
მცხეთა..	10 11	6 27	- 68	- 38	ბაქოსის აქეთა მხრის ყველა ქალაქებში.	50	უქვილი წითელი .. .	170	აგათყოფებს მიიღვენ ყოველს დღე ღილის 9 საათიდან 1-მდინ.
ზორი..	11 5	9 43	240	133	როსტოვი, ოდესას, მოსკოვს	2	მერი ფუთი .. .	130	მ. რ შ ა ბ ა თ ს: მერმიშევი და ბა-
ხაშური..	1 29	11 57	392	218	პეტერბურღი, მარაშეას .. .	2	ბამბა მრეფ ისა, ფუთი ..	650	როდვეილი—შინაგ. ავთა, ქიურჩა-
სურამი..	1 44		442	246	მსმალეთში, შვიცი რიაში.	3	— პერიკია, ფუთი .. .	740	როანცი—საჯარო ექიმი და საშვი-
ქვირილა..	5 49		581	323	იტალია და სარგთში .. .	350	ბავანტლი ბ მბა დუთი.	10	ლოს ოპერაციები.
რიონი..	6 5		675	375	ინგლისში .. .	375	მაცული თუშური ფუთი ..	850	სამშობათ ს: მერმიშევი—ში-
სამტრედია..	7 51		773	429	ფრანგული .. .		— თარაქამისა ფუთი .. .	460	ნაგ. ა. ბ ხუტოვი—სამბილო და ბაგ-
ახალ-სენაკი..	8 43		857	476	ფრანგული .. .		აბრეშუვი ნუხური სტ.	2	შვის, პეტროვი—თვალის.
ფოთი .. .	9 50		975	542	ფრანგული .. .		მონ, ფუთი .. .	560	ოთხ შ ა ბ ა თ ი: მერმიშევი ში-
ფოთი .. .	9 3				ფრანგული .. .		მონს საწთ ღი ფუთი .. .	740	ნაგანი.
ახალ-სენაკი	10 14		118	- 66	ფრანგული .. .		სტეარინის ს წთელი, ფთ.	1240	ხუთ შ ა ბ ა თ ს: მერმიშევი—ში-
სამტრედია	11 5		26	114	ფრანგული .. .		ბორცი პროზისა, ღიტ.	81	ნაგ., ქიურჩიანცი—ჩიფლიტიკუ-
რიონი..	12 13		34	169	ფრანგული .. .		— ცვროსა, ღიტრა .. .	81	რი და საშარდე ორგანების.
ქვირილა..	1 18	ლაპე.	398	221	ფრანგული .. .		სპირტი ვედრო .. .	480	პარასკევის: მერმიშევი შინაგ.,
სურამი..	5 12		110	533	ფრანგული .. .		შეპარ, ბროც. ფუთი .. .	730	ა. ბახუტოვი—სამბილო ქალია და
ხაშური..	5 39		137	584	ფრანგული .. .		— ფხვნილი ფუთი .. .	620	ბავშვებს.
ზორი..	7 5		487	364	ფრანგული .. .		საჯო გრვლი, გრვ .. .	70	შ ა ბ ა თ ს: მერმიშევი შინაგ., და
მცხეთა..	8 50		659	854	ფრანგული .. .		ეთი ქუნჯუთისა ფუთი .. .	1280	პეტროვი—თვალისა.
თფილისი..	9 31		756	975	ფრანგული .. .		თამბაქო, ს. შულო ფთ.	660	